მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ადგილობრივი
მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების გამოყენების და
მართვის საკითხთა კომისიის სხდომა

ოქმი №4

ქ. მარტვილი 4 მაისი, 2023 წელი

სხდომა დაიწყო 12:00 სთ-ზე, დამთავრდა 13:00 სთ-ზე

სხდომას ესწრებოდნენ: ლაშა ქობალია, ჯამბულ ხუროძე, მინდია გაბისონია, კობა ასაბაშვილი, ელენე კოკაია.

სხდომას თავმჯდომარეობდა მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების გამოყენების და მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ლაშა ქობალია.

მოისმინეს 1: სხდომის თავმჯდომარემ ლაშა ქობალიამ დღის წესრიგის პროექტი გააცნო სხდომის მონაწილეებს.

დღის წესრიგი:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებულ ს.კ: 41.09.32.888 მიწის ნაკვეთზე (მდებარე ქ. მარტვილის ადმინისტრაციულ ერთეულში) აშენებული ნაგებობის (აგრო ბაზარი) შიდა სასარგებლო 184 კვმ ფართის ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობად, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დასკვნით წარმოდგენილი თანხის (190400 ლარი) 8 % ოდენობით განსაზღვრაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხსენებელი-ლაშა ქობალია, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი
რესურსების გამოყენების და მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე /

კომისიის თავმჯდომარემ სთხოვა კომისიის წევრებს საკითხის წინ გაევლოთ რეგისტრაცია.
რეგისტრაცია გაიარა კომისიის 5–მა წევრმა.

მოისმინეს1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების გამოყენების და მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ლაშა ქობალიას მოხსენება, .მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებულ ს.კ: 41.09.32.888 მიწის ნაკვეთზე (მდებარე ქ. მარტვილის ადმინისტრაციულ ერთეულში) აშენებული ნაგებობის (აგრო ბაზარი) შიდა სასარგებლო 184 კვმ ფართის ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობად, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დასკვნით წარმოდგენილი თანხის (190400 ლარი) 8 % ოდენობით განსაზღვრაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის წერილი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და კომისიის წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჯამბულ ხუროძემ აღნიშნა, რომ აღნიშნული ფართი აშენებულ იქნა აგრარული ბაზრის დანიშნულებით სადაც განთავსებულია მხოლოდ 2 სუბიექტი ამიტომ მიზანშეწონილად მიაჩნია მოხდეს აღნიშნული უძრავი ქონების გაქირავება. კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებულ ს.კ: 41.09.32.888 მიწის ნაკვეთზე (მდებარე ქ. მარტვილის ადმინისტრაციულ ერთეულში) აშენებული ნაგებობის (აგრო ბაზარი) შიდა სასარგებლო 184 კვმ ფართის ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობად, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დასკვნით წარმოდგენილი თანხის (190400 ლარი) 8 % ოდენობით განსაზღვრაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე 5. წინააღმდეგი 0.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: მოწონებულ იქნას .მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებულ ს.კ: 41.09.32.888 მიწის ნაკვეთზე (მდებარე ქ. მარტვილის ადმინისტრაციულ ერთეულში) აშენებული ნაგებობის (აგრო ბაზარი) შიდა სასარგებლო 184 კვმ ფართის ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობად, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დასკვნით წარმოდგენილი თანხის (190400 ლარი) 8 % ოდენობით განსაზღვრაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ საკითხი და აღნიშნული საკითხი მომზადებულად ჩაითვალოს საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე: ლაშა ქობალია